K 22492/2

...ია პავშირის საბჭოს გამოცემა. №

დავით კლდიაშვილის

საიუბილეოდ

...ოფლისი. სტამბა ვ. რუხაძისა, გამომცემლის შესახებ. 1920 წ.

მუშაოალთა კავშირის საბჭოს გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 131
821.353.1(092)
5 588
K 22492/2
2117
№
AKAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY

პავლე კლდიაშვილის საიუბილეოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კლდიაშვილი

(ბიოგრაფიის მაგიერ).

პატივცემულ დავით სამსონის ძის კლდიაშვილის ბიოგრაფია ვერ-სად ვიპოვეთ. თუმცა მის თხზულებათა კრებულის ორი ტომი დაიბეჭ-და ამ რამდენისამე წლის წინად ბათუმში, მაგრამ ამ კრებულს ბიოგრა-ფია ავტორისა დართული არა აქვს და, რამდენადაც გვახსოვს, არც ჩვენს ლიტერატურაში დაწერილა რამ ამის შესახებ.

ამიტომ ვბეჭდავთ მოკლე ცნობებს იმის ცხოვრებისას, რაც პირა-დად მისგან გაგვიგონია. ვეცდებით ეს ცნობები იმ სახით აღვნიშნოთ უმეტ-ნაკლებოდ, როგორც თვით აქვს ჩვენთვის ნაამბობი, მისის კი-ლოს დაკვრით, ამბის შეუხამებლად და შეულამაზებლად.

აი ეს ნაამბობი:

მე დავიბადე 1862 წ. სოფელ სიმონეთში. მამა ჩემი სამსონ კლდია-შვილი, რომელიც დღესაც ცოცხალია, ეკუთვნოდა წვრილ მესაკუთრე აზნაუ-რობას, იგი ჭმსახურობდა ქუთაისში, ოჯახს-კი განაგებდა დედა ჩემი. კესარია დოლობერიძის ასული. იგი მეტად უყვარდათ თავის კეთილში, დიდათ პატივს სცემდნენ და ამისგამო ჩემი ბავშვობა მეზობელთა განსხვავებულ სიყვარულში გავატარე.

ექვსის წლის ვიყავი, რომ ქუთაისში წამიყვანეს და რამოდენიმე ხნის შემ-დეგ მიმაბარეს ანდრია იეგორის ძის მრეველიშვილის სასწავლებელში მოსამზად-ებელ კლასში. 1872 წ. შეგვაგროვეს თავად-აზნაურთა ბავშვები ტფილისისა და ქუთაისის მაზრაში და ჩვეულებრივ გამოცდის შემდეგ წაგვიყვანეს რუსეთში კიევის სამხედრო გიმნაზიაში მისაბარებლად. წაგვიყვანეს სულ ორმოცდა ორი ბავშვი; გიმნაზიაში დაგვტოვეს ოცდასუთი. ამ ოცდა ხუთ ბავშთაგან მხოლოდ ხუთმა გავთავეთ გიმნაზია; დანარჩენნი ზოგნი დაიხოცნენ, ვერ აიტანეს ჰავა, ზოგნი კადიუკანეს პროგიმნაზიებში, ზოგნი-კი გამორიცხეს.

სოცარი იყო ჩვენი მდგომარეობა წლის დამლევს. ბავშვებს თანდათან გვიწყებოდა სამშობლო ენა. გულდაწყვეტილნი მოვიყრიდით ხოლმე სადმოო-ბით თავს და ვეძებდით ჩვენს თავს, ქართულად ვცდილობდით მოგეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ზღაპრებს ან რაიმე ამბავს, მაგრამ თანდათან გვიძნელდებოდა ეს დროლის იქამდე მივედით, რომ უკვლა ჩვენთაგანი სრულიად გაღაუჩია ქართულ ლაპარაკს. უფროსს კლასებში იყვნენ ჩვენზედ წინად მიეგანილი ქართველი ბავშვები, მაგრამ ამათ უკვე დიდხანიდან გაღავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა. ჩვენს გამწარებას საზღვარი არ ჰქონდა და გამწარებას ისიც დაერთო, რომ ერთი ადმზრდელთაგანი, როცა მოგვმართავდა, უსათუოთ დაატანდა ხოლმე ჩვენდა მიმართ: „ტატარჩუკო". დიდათ გვაღელვებდა ასეთი სახელი, დიდათ გვწყინდა და გამწარებულნი შევეუღქით გამოიებას, თუ როდის შიიდო ქართველობამ ქრისტიანობა. გვსურდა ამითი აგვეცილებინა თავიდან ეს არასასიამოვნო შემოძახილი ადმზრდელისა. გამოკითხვის შემდეგ გავიგეთ, რომ რუსებზედ გაცილებით ადრე ვიყავით ქრისტიანები, დასაბუთებული სიჩვერით მივმართეთ ჩვენს კლასის დამრიგებელებს-ადმზრდელებს და მოვითხოვეთ აულაგმათ ჩვენი შეურაცხმყოფელი ადმზრდელი. სიჩვარმა გასწრა, უდიერი ადმზრდელი შოგვაშორეს და მის სახელს ვერავინ გაგვაგონებდა.

სახლში დაბრუნება მოგვიხდა მხოლოდ სამის წლის შემდეგ. საზაფხულოდ ჩამოსული სრულიად ვეღარ ვახერხებდი ქართულათ ლაპარაკს და რადგან დედა ჩემმა რუსული არ იცოდა, თარგიმნათ ჩემი ბიძაშვილი მეავდა და მისის დახმარებით ვეღაპარაკებოდი დედა ჩემს და ჩემს მნახველებს. ორის თვის შემდეგ და ბემდეგ წლებში ცოტათი ენა შევისწავლე, რაკი ოფეღთვის მოვდიოდი ზაფხულობით, ქართული ისე შევითვისე, რომ შემეძლო რადენადმე გადამეცა ჩემი სათქმელი.

უმაღლეს კლასებში ყოფნის დროს ჩემდა იდბლად გაგვიცანი კიევის სასულიერო აკადემიაში სტუდენტად მყოფი ნიკო ლომაური იმას გაეგო ჩვენი ვინობა, მოვიდა გიმნაზიაში, გაგვეცნო და გაცნობის შემდეგ ისე დაგვიახლოვდა, რომ გულდაწყვეტილნი ვიყავით, როცა ჩვენს ნახვას დაიგვიანებდა. მასთან ერთად მოდიოდა მეორე სტუდენტიც, მიხეილ იდურიძე; ამათ საოცარი სამსახური გაგვიწიეს, გვეპატრონებოდნენ და თან გვაყვარებდნენ ქართულს ენასა და საქართველოს.

გიმნაზია გავათავე 1880 წ. გადავედი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1882 წ. დავამთავრე და გამოვედი ზოდბორუჩიკის ჩინით, ადგზედ სამსახური შემხვდა ბათუმში, სადაც ოცდა ექვსი წელიწადი ვიმსახურე.

სამშობლოში დაბრუნებული ძალზე ვამტვრევდი ქართულ ენას, მაგრამ დიდათ ვმეცადინობდი შემესწავლა ქართული ლიტერატურა და ისტორია. ჩემდა იდბლად, ისეთ წრეებში მოვხვდი რომ ეს ჩემი სურვილი კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ამასობაში ვვარჯიშობდი გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად თარგმნებში და კაზეთებში წვრილ წვრილ კორესპონდენციებს ვგზავნიდი.

1896 წ. იძულებულ შევიქენი დუელში გამომეწვია ბათუმის კაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“. რედაქტორი კითხსირებული ესლმი, რომელმაც ეოველად ხაზიზღარი წერილი მოათავსა თავისს კაზეთში კაბრიელ ეპისკოპოზისა და იმის კახსვენების თაობაზედ.

წერილი ეოველად შეეწეწარებელი იეო შეშინებულმა ესლმა ბოდიშის მოხდა არჩია, მაგრამ ბათუმის რუსობამ ეს იწეინა და საქმე ისე დატრიალდეს, რომ მთელი ქალაქი ორ დასად გაიეო, ერთნ რუსების მომხრენი იევნენ, მეორენი კი ქართველებისა. მდგომარეობა მეტად გამწეავებული იეო და დროთ კარმავლობაში ძლივს მიწენარდა.

1902 წელს, როცა ბათუმში ბირველი შეტაკება მოხდა მეუშებსა და ჯარს შორის, ბედმა გადამარჩინა და ჩემს როტას, რომლითაც გაწკეული ვიეავი წინა სადამოს, ასცდა ხალხის წინააღმდეგ მოქმედება. ეს დღე კი საშინელი დღე იეო. იმ შადაგებაში, რომელიც მოეხდა მეორე როტას, მეუშების მხრივ ტხრამეტი მოკლულ იქნა და ოცდაოთხი მძიმედ დაიჭრა. საზარელი სანახავი იეო ქუჩა, სადაც ამდენი ხალხი ეეარა გუბერნატორის წეალობით, რომელიც იქვე მეოთი გაიძახდა მხოლოდ: „По меньше кровопролитія, по меньше кровопролитія“,—იმის მაგიერ, რომ აეკრძალა სროლა ეიარადო ხალხისათვის. ამ საზარელ ამბის შემდეგ უფროსმა მიბრძანა, რომ ჩემი როტა სიმდერით წამეეგანა ეაზარმაში. მსროლელი როტა-კი უკვე წასული იეო. მე ეარი ვეთხარი და მოვახსენე შემოსწრებულს კომენდანტს რომ ესოდკოვნიკი გვაძალებს სიმდერით გავემართოთ სახლისკენ თითქო გამარჯვების შემდეგ—შეთქი. გენერალმა შენიშვნა მისცა ესოდკოვნიკს, რომ ამისთანა სამწეხარო დროს სიმდერას ადგილი არა აქვსო. ნანახის სურათით შეძრწენებული და გულმოკლული წავედი ჩემის როტით ეაზარმაში, რასაკვირველია, უმდერლად და უგალობოდ, და ან რა მამდერებდა, როდესაც გული ტრემლით მევსებოდა.

ამ საქმის გამო ბევრი მეუშა დაიჭირეს და სამართალში მისცეს; იმათი საქმე ერთის წლის შემდეგ გაირჩა. საქმის გარჩევას მე არ დავსწრებივარ, რადგან ბეტერბურგში ვიეავი გაგზავნილი ერთის წლით. სასამართლოში-კი რუსეთის საუკეთესო ვექილებმა მოიეარეს თურმე თავი და იმდენი იმტკიცინეს, რომ მეუშები გაამართლეს და გამარჯვებული გამოიევანეს სასამართლოდან, რაც დიდი დემონსტრაცია გაიმოწვია ბათუმის მეუშათა შორის.

1904 წლიდან 1908-დე მეტის მეტად მძიმე ასატანი ხანა იეო ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. ჩემი უფროსები და ბევრი კარეშენიც ოფიცერ დონეს ეხმარობდენ, რომ რამე რიგად ხელში ჩავარდნოდი და, როგორც ერთგვარ რწმენის მაღიარებელისათვის, ძირი გამოეთხარათ ჩემთვის. ერთს დღეს მიზეზად მომიდეს, რომ ოდესაში მოკლულ სომ კლდიაშვილის გვამის გამოსვენებას ბათუმიდან ქუთაისში გამოვიყვანდი. ცხობილმა გენერალმა ბრიზნოვმა ამისათვის ბრძანება გამოსცა, რომ სომის დღის განმავლობაში გავეგზავნე დელეგატასს, დეკლარაციაში მდგარ სამერის ეოლკში. ბრძანებამ დაიგვიანა, რადგან გრიაზნოვი ჯორჯიაშვილმა მოკლა და გზაც შეიკრა. ორი თვის შემდეგ, როცა გზა გაიხსნა, მეც ბირი დელეგატნისაკენ მაქრეფინეს, მაგრამ ტფილისს არ გავშორებივარ, რადგან აქ გამოქმოგნენ გენერალი ბერხმანი და განსაკუთრებით გენერალი რეშეტინი (მოწყალებაში ბისარეფის ეოფილი ამხანაგი). ბრძანებას რომ არ დაეგვიანა, ვინ იცის როგორი იქნებოდა ჩემი ბედი, რადგან სწორედ იმ ხანებში სამერის ეოლკში ჯარისკაცთა აჯანყება მოხდა, ჯარისკაცნი შეერივნენ ეოლკის საკრებულოში მეოთე უფროსების და ეოლკის კომანდირი და ცხრა იქ მეოთი ოფიცერი მოჰკლეს.

დაბრუნდი ისევ ბათუმში, მაგრამ ჩემს გარშემო ცეცხლი ტრიალებდა. ათასს დაბრკოლებასა ვძლევდი, რადგან ნაძალევად ახანაგ ოფიცრობის უმეტესობა და ჯარის კაცები თანაგრძნობით მეურობოდნენ. მაგრამ ჩემმა „ნერვებმა“ ეოველივე ეს ვერ აიტანა და ძლიერ ავად შეგრძენი. ამასთანავე ერთმა კომანდირმა წდბილ მოწმობაზედ ეიოდაპირ მიმეწერა, რომ არაკეთილსაიმედო შტაბოფიცერია და თუ მაძრაობა ატეტეს ეტეი არ მაქვს, რომ მოძრაობს მიემხრობა რამოდენსაც ხანის შეადგენ ეიდეც მგონიდ ბრძანება! „მეოთის მოადგილემ დროის შესაფერისად დაიბარა, რომ სამსახურიდგან გახდეთო.

სამსახურიდგან გამოსული, კოტე ბაქრაძის შეშფოთებით, მეორე ჯაბაგირიან ადგილზედ ვმსახურობდი ქუთაისის ქალაქის გზეგეობაში, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში.

1914 წელს ისევ სამსახურში გამიწვიეს, წელიწად ნახევარი ვიყავი ომის ველზედ, შემდეგ კოქესდასტად დამნიშნეს ფაზისტანში, სოფელ ბირონიტში, ხოფის მახლობლად. აქ ფაზეში მრავალი ნაცნობი და მეგობარი შეეიმინე და წელიწად ნახევარში, რაც იქ მოშიხდა ყოფნა, დიდს „ბრძანებაზედ ვეწეოდი სხვებთან ერთად ფაზეში ერთგვარ შეხედულობის გასაგრძელებლად.

როცა ერთგული ჯარები შესდგა 1917-ის დამლევს, ფაზისტანი დავტოვე და გაძმოვედი ბირველ სათადარიგო ეოლკში.

1918 წ. თებერვალში 600 ოფიცრით გავემგზავრე ბათუმს და აქედან ავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წელზედ სადარაჯოზედ. ამავე წლის მარტში სამს სხვასთან ერთად გამგზავნეს ქედაში აჯარლებთან მოსალაპარაკებლად... მაგრამ ეს ამბავი გრძელია და შემდეგ რიდისმე გიამბობთ.

მარტის 31-ს უკანასკნელი მატარებელი გამოვიდა ბათუმიდან, იმას გამოვეევი და ფოთს ბარცხანასთან კიდამ დაგვრცხილა მტრის ტუვიამ, რადგან გადახსნილ ბაქანზედ ვისხედით. 1919 წლის პირველ სექტემბრიდან ვმსახურობდი პირველ დივიზიის შტაბში; ჯარების რეორგანიზაციის შემდეგ-ვიშტაბ კარეშე ვარ და ადარ ვითვლები სამსახურში. პირველი ლიტერატურული ნაშრომი ჩემი იყო პატარა ამბავი, გერმანულიდან გადმოთარგმნილი, ეურნალ „ნიბათში". 1883 წ. დაბეჭდილი. ამ ამბავს ქვეშ აწერია სამსონიძე. შემდეგ დაიბეჭდა თარგმანები ფრანგულიდან და ამას კარდა, კაზეთებში წვრილ წერილებს ვათავსებდი. პირველი ორიგინალური ნაშრომი დაიბეჭდა „მოამბეში". 1894 წლის, მაისის ნომერში. ჩემის ავადმყოფობის გამო შესწყდა ჩემი ლიტერატურული მუშაობა, დიდად ვწუხარ ამისათვის, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემის ძვირფასი სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარი და ეს დიდებული, ყოველის ქართველისათვის სასიტრელი და ბედნიერი დღე ჩემის თვალით ვიხილეო.

ასე დაამთავრა თავისი ნაამბობი ჩვენმა პატივცემულმა იუბილიარმა და თვალში სიხარულის ცრემლი მოერია.

ამ სიხარულის ცრემლმა მისი ბაგენიც დაადუმა და ჩემი გულიც იმდენად შეატოკა, რომ ველარ გავუბედე კვლავ მეთხოვნა თავისის წარსულის ამბის განგრძობა.

აღტაცებით შევცქეროდი მის ჭალარა მოსილს, სანდომიანს, მშვიდობით აღსავსე სახეს და ვგრძნობდი, რომ ამ გარეგნობით პატარა ადამიანის მკერდში დიდებული და ძლიერი გული სძგერდა, გული ჭეშმარიტის მამულიშვილისა და თავის სამშობლოს მათაყვანებელისა.

ა. ახნაზაროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კლდიაშვილს.

საკუთარი მზე დაგყურებს, სხივებს გფენს და ნათლით გბურავს,
ქართველ ერის გულის ცემა სიხარულის ცრემლში სცურავს:
შიგ ზამთარში ზამთრის სუსხი გატყდა, უცბად დამიწგულდა...
ვრს შვება და შენ—გვირგვინი... გაზაფხულდა, გაზაფხულდა!
ყველა ხარობს, მხიარულობს, დღეს არც ერთი აღარ ჰგმინავს,
ზეიმობს და გესვრის ვარდებს, გიმღერის და მკვირცხლად ჰფრინავს...

—

სამშობლოს თავისუფლებამ მკვდართ გულიც აცხრამტკაველა:
დიდი ილია, აკაკი, მამია, ვაჟა ფშაველა
და რაფიელი ხევსურით ამდგარან, იმზირებიან,
ლოცავენ საქართველოს ბედს და სიხარულით სტკბებიან.
აგერა გარეთ ტორსა სცემს ბარათაშვილის მერანი,
ჰიხვინებს, უხმობს პატრონსა, უხდება თვალთა ცქერანი.
მხედარს—კი მამადავითის კალთები აურბენია,
იქ, მთაწმინდაში, ლოცულობს, გულს ჰირი აღარ სჩენია.
უყივის: „მოდით, მოჯარდით!“ ძველსა და ახალ გმირებსა,
ტანჯულ სამშობლოს ხსნისათვის გმირულად დახოცილებსა.
ყველანი ეროვნულ დროშას დიდებით გადმოსცქერიან
და ჩვენთან ერთად, დავითო, ხმა-ტკბილად ასე მღერიან:
„ვაშა, ვაშა, თმა დათოვლილს, გულით კი არ მოხუცებულს ,
მადლიანის კალმის პატრონს, ერისაგან მირონ ცხებულს.
ერისგანვე გვირგვინ დადგმულს, ჯაჭვებიდან დახსნილ ხელით,
შემკულსა და შემოსილსა, საკუთარი მზის ნათელით“
ვაშა ერის სიამაყევ, ვაშა, ვაშა, ერის შვილო,
ათასგვარად ჭირ-განცდილო, დღეს ნამდვილად თავ დახსნილო!

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი დ. კლდიაშვილს.

არაჩვეულებრივ დროს, არაჩვეულებრივ პირობებში გვიხდება თქვენი სამწერლო დღეობის გადახდა. მსოფლიო ქარტეხილში ჩაბმულმა ჩვენმა პატარა სამშობლომ განიცადა მწვავე ისტორიული გარდატეხა: სანეტარო თავისუფლების მოპოვება მომქანცველ ბრძოლის შემდეგ, ამ თავისუფლების განმტკიცებაზე ფიქრი, ფიქრი ბურუსით მოცულ ხვალინდელ დღეზე, საზღაპროდ გაჭირვებული ცხოვრება—აი ის შეუფერებელი კვარცხლბეკი, რომელზედაც ჩვენ დღეს ავმართეთ თქვენი სამწერლო მოღვაწეობის ბაირალი!

პოეზია, სურათ-ხატება, ხელოვნება, არის თავისუფალი სულის თავისუფალი სიმღერა-ლაღადი. მშვენიერების განცდა, მისი შეგნება, მისი დაფასება არ შეუძლიან ჩვენს მძიმე ტლანქ დროს: ერთის მხრით საქართველოს რჩეულ შვილთა თავ-გამოდებული პოლიტიკური ბრძოლა; მეორეს მხრით მთელი ერის აუტანელი ეკონომიური გაჭირვება, გამხეცებული ბრძოლა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და ამ ბრძოლაში გავარვარებული პირუტყვის ინსტინქტები — აი რით არის გარემოცული თანამედროვე ცხოვრების მთელი სული!

არვის სცალიან პოეზიისათვის, მშვენიერებისთვის; არვის სცალიან თქვენთვისაც, ძვირფასო დავით! მაგრამ მწერალთა გუნდი არ შეუშინდა ამ უგვან დროსაც და, როგორც პოეზიის ერთგულმა დარაჯმა, ამ თქვენ დამი მოძღვნილ ზეიმით ჩამოჰკრა წკრიალა ზარი მშვენიერების სამრეკლოზე!.

ქართველი მწერლის ოცდა-ათი წლის მოღვაწეობა!

ენა ადვილად იტყვის, ყური ადვილად გაიგონებს!

ფართო საზოგადოება იცნობს მხოლოდ სუფთად დაბეჭდილ ფურცლებს ავტორის სახელის ზედწარწერით. საზოგადოების მხოლოდ-მცირე ნაწილმა იცის, თუ რა პირობებში უხდება, რად ულირს ქართველ მწერალს ამ სუფთა ფურცლების შექმნა.

შეიძლება პარადოქსულად ითქვას, რომ ქართველებს გვაქვს მწერლობა, თუმცა არ გვყვანან მწერლები! ნორმალურ პირობებში მწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი მთელ თავის ნიჭს, დროს, ენერგიას ახმარებს მწერლობას; მწერლობა მისთვის არის ერთად-ერთი საქმე, პროფესია; მწერლობა მისთვის არის წყარო ცხოვრებისა, კეთილდღეობისა.

ამ სახის, ამ შინაარსის მწერლები ჩვენ არ მოგვეპოვებიან. ჩვენში მწერლობა იქმნება „სხვათა შორის"; ჩვენი მწერალი არის მწერალი მხოლოდ „სხვათა შორის". მისი ძალ-ღონე, დრო, ენერგია ხმარდება სრულებით სხვა რამ საქმეს, რომელიც ერთად ერთი საღსარია მისი არსებობისა; მწერლობა მისთვის არის მხოლოდ იშვიათი ეპიზოდი, იშვიათი დღესასწაული მისი მოღლილი სულისა! ჩვენში მწერლობა არამცთუ არაფერს არ აძლევს ავტორს, პირ-იქით,—თვით მწერალს სჭირდება თავისი ოჯახის გაქურდვა, რომ ქალალდი შეიძინოს! ამგვარად, ჩვენი მწერალი, ან უკედ ვსთქვათ—მწერალი „სხვათა შორის" არის მთელი საზოგადოების, მთელი ერის ქველმომქმედი, მსხვერპლი, ზვარაკი, და საზოგადოებაც დამშვიდებული სინიდისით იღებს ამ მსხვერპლ-შეწირვას.

ეჭვი არ არის, რომ ამ პირობებში ჩვენი „სხვათა შორის" მწერლის ნიჭი, მისი შემოქმედებითი ნაყოფიერება ინთქება, ნიავდება და, თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენში მაინც შეიქმნა მწერლობა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს „სხვათა შორის" მწერლებში დიდი პოტენცია ყოფილა ჩანერგილი!

თქვენ, ძვირფასო დავით, ტიპიური წარმოადგენელი ბრძანდებით ასეთი „სხვათა შორის" მწერლისა, ტიპიური ქველმომქმედი, ზვარაკი ერის სამსხვერპლოზე; თქვენც ჰქურდავდით თქვენს ისედაც არა განებივრებულ ოჯახს ქალალდის შესაძენად და აი—შეგცქერით ამ მსხვერპლ-შეწირვაში გაჭალარაებულს, ქანცგამილეულს, მაგრამ ისევ თავმდაბლად, ლმობიერად მოდიმარს; შეგცქერით და, თუ სხვას არა, ჩვენ—თქვენს ამხანაგებს ხომ კარგად გვესმის, ჩვენ ხომ მთელი სიმწვავით ვგრძნობთ, თუ რად გიღირთ ასე ადვილად სათქმელი ეს წლის საამწერლო მოღვაწეობა!

ამ ზეიმით არ გვსურდა თქვენი განდიდება ან სიამოვნება: პირველს თქვენ არ საჭიროებთ, მეორე კი უფრო მოსახერხებელი იყო ვიწრო, ინტიმურ წრეში; არა, ჩვენ სხვა მიზანი გვქონდა: გვსურდა დიდი საზოგადოების თანადასწრებით და მთელი ერის გასაგონად ჩამოგვეკრა ზარი ეროვნული თვითშეგნების და სინიდისის გასაღვიძებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ კი, ძვირფასო დავით, დღესაც, როგორც ამ 30 წლის გზამავლობაში გამოგიყენეთ ეროვნულ ზვარაკად, შეგაწუხეთ და თვალით სახილავ საშსხვერპლოზე ვასახიერებთ 30 წლის თქვენს სამწერლო მოღვაწეობას.

გილოცავთ, რომ 30 წლის მოღვაწეობის თავზე ბედმა გიძღვნათ უუდიდესი ჯილდო—თქვენი მშვენიერი სამშობლოს თავისუფლება!

გილოცავთ, რომ თუ წარსული დროის სიდუხჭირეში გამოცემული რამდენიმე ასი ცალი თქვენი ნაწარმოებისა განისვენებდნენ თახჩების მტვრიან სამარეში, დღეს ათი-ათასობით მოზარდ ახალთაობას წინ უსვენია თქვენი „შემოდგომის აზნაურთა“ მშვენიერი ეპოქა.

ნ. შიუკაშვილი.

დ. კლდიაშვილს.

ჩემო დავით, ფიქრთა ნავით
ზე ავცილდი ღრუბელთ ქულას
და დაკიდულს ოქროს კავით
მზეს ვეწვიე, თვალ-შექურას.
მან სხივების იაგუნდი
მომაფრქვია, მომაყარა;
მოვტაცე და აქ დავბრუნდი,
რომ შეგიმკო მით ჭალარა.
ეს დიდების შარავანდი,
ვფიცავ, ისე დაგშვენდება,
ვით წალკოტსა ტურფა ვარდი,
ცისკარზე რომ აფეთქდება!

ვ. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილის მხატვარი.

როდესაც დავით კლდიაშვილს წარმოვიდგენ, თვალწინ მეხატება სოლომონ მორბელაძე, რომელიც თავის ჯორს წარა-მარა აჩიქჩიქებს სამაშუალოს ასაღებად; მაგონდება დარიხანი, რომელიც თავის კა-როჭნას სოფელ-სოფელ დაათრევს: ეგები ბედმა გამიღიმოს და თავი-დან მოვიცილოვო; წარმომიდგება პლატონ სამანიშვილი ზურგ-გადა-ყვლეფილის ცხენით სადედინაცვლოს მაძებარი და ოტია ქამუშაძე, რო-მელსაც აზნაურობის წოდება სამარცხვინოთ ჰხდის, და როდესაც ყველა ამ მოგონების შემდეგ ისევ კლდიაშვილის სახეს ვუკვირდები, იქ სევ-დასა და ღიმილს ერთად ვხედავ.

კლდიაშვილი უწინარეს ყოვლისა იმერული ნიჭია. მისი ერთი გმირი სამანიშვილის დედინაცვლიდან—კირილე—ამბობს: კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და სხვასაც იამება შენი შეხედვაო.

იმერელი მხიარულების მოტრფიალეა—მაშინაც კი, როდესაც სამ-ხიარულო არაფერია.

გარეგნულ მხიარულებაში შეიძლება გულის კვნესა იყოს გარეგნუ-ლი,—ესეც უმთავრესად იმერლის თვისებაა.

ცრემლიანი სიცილი იმერლის მოგონილია. დავით კლდიაშვილ-საც სიცილი უნდა, მხიარულება, მკითხველის გაცინება. და, მართლაც, იმის საუკეთესო მოთხრობებში ბევრი რამ არის სასაცილო.

სოლომონ მორბელაძეს რომ ექვსი მანეთი და ხარის ტყავი შერ-ჩება ექვსის თუმნის ნაცვლად და გულმოსული ჯორზედ იყრის ჯავრს, განა სასაცილო არ არის?

პლატონ სამანიშვილის მთელი თავგადასავალი არ არის განა სა-საცილო?

კლდიაშვილს უყვარს სიცილი, ოხუნჯობა.

მისი იუმორი უწყინარია, უბოროტო, მხიარული, ხალისიანი.

მაგრამ ამ იუმორს თან დასდევს ნაზი სევდა.

რატომ?

იმიტომ რომ ის ცხოვრება, რომელსაც ავტორი აგვიწერს, სევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის მომგვრელია. კლდიაშვილი გაქუცული, გახრეკილი, შემოდგომის აზნაურობის მემატიანეა.

იმერეთის აზნაურობის ცხოვრება—აი კლდიაშვილის საგანი.

კლდიაშვილი განსაკუთრებით ზემო იმერეთის მხატვარია.

იმერეთის აზნაურობის ცხოვრებაში სწარმოებს დიდი საზოგადოებრივი დულილი. აზნაურობა იშლება, ითქვიფება ცხოვრებაში გლეხობასთან. ის ჰკარგავს თავის წოდებრივს უპრატესობას და გლეხობას უთანასწორდება და აი, ამ დულილში ავტორი გვიჩვენებს საშინელს სურათს გაჭვრებისას, სიღატაკისას, შიმშილისას, სასოწარკვეთილებისას.

აზნაურობის წოდება უფრო არცხვენს და სასაცილოდ ჰხდის ავტორის მიერ დახატულ პირებს.

დასკვნა ერთია: მაშასადამე, საჭიროა ეს სახელწოდება სრულიად გაუქმდეს და აზნაურობა და გლეხობა გაერთიანდეს, რადგანაც სულ ერთია, ცხოვრება მათ აერთიანებს.

თითონ დავით კლდიაშვილი არ აკეთებს ამ დასკვნას, მაგრამ ეს დასკვნა ბუნებრივათ გამომდინარეობს მის მიერ გადაშლილი ცხოვრების სურათებიდან.

კლდიაშვილის შემოქმედებაში არ გაგიტაცებთ არც ღრმა ანალიზი, არც რთული შინაარსი ან მდგომარეობა, არც ძლიერი ფანტაზია: თქვენ მიგიზიდავთ სინამდვილე და ამ სინამდვილის შეუდარებელი გადმოლება.

საუცხოვო ფერადებით ტილოზედ გადმოტანილი სინამდვილე—აი კლდიაშვილის მოთხრობები.

იმერეთის ცხოვრების აღწერაში კლდიაშვილი უბადლოა.

ავტორი ზედ მიწევნით იცნობს ამ ცხოვრებას, მის ყოველ წვრილმანს და მის შემოქმედებაში გადაჭარბებული, გადამეტებული არაფერი არ არის,—აქ ყოველივე ბუნებრივია და ლამაზი.

კლდიაშვილი სინამდვილის მოტრფიალეა.

ის არა ჰქმნის საკუთარ სინამდვილეს, ის მხოლოდ ჰხატავს ცხოვრების სინამდვილეს.

კლდიაშვილი ცხოვრებას სინამდვილის დიდი მხატვარია.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კლდიაშვილი

(ოფორტი).

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჟრებით,
მე ვუცქერ ბოსტნებს, ვიწრო შარებს, შეშის ბოგირებს,
აგერ ირინე მეწვრიმალ ნეს აცდენს ვაჟრობით,
მღვდელი ზოსიმე დამშეულ ჯორს მიაბოგინებს...

თავლა და კალო, გალესილი ჩქარი ნამგალი,
ლობეში ლორი უღლიანი ლრიალებს მწარეთ;
და სოლომონი, გაცრეცილი მხნე მაჭანკალი,
ჭიშკართან ყვირის: „მასპინძელო, გამოდი გარეთ“!..

პაოლო იაშვილი.

ძველი ჭრილობა.

გასისხლიანებული მზე ზღვის უფსკრულში იძირებოდა. შესწყდა ზარბაზნების გრიალი და ტყვიის მფრქვეველთა სასიკვდილო ცეკვა. ქალაქის შენობებმა და ფანჯრებმა ოდნავ დაისვენა. მხოლოდ სამების ფორტიდან კიდევ გაისმოდა დაგვიანებული ზარბაზნის ხმა. იქ კვლავ ჩვენი ახალგაზრდობა იდგა და მტერს ებრძოდა. ანარიის ფორტზე დილიდანვე ჩვენ დახოცილ მოძმეთა თავზე ოსმალთა დროშა ფრიალებდაა განთიადისას უკანასკნელად ეხეხდეს მზის სხივს ჩვენმა რაინდებმა და სამუდამოთ დახუჭეს თვალი. ჩემს ცხოვრებას არ ახსოვს ასეთი საღამო. სიბნელემ დილიდანვე დანისლა ჩვენი არსება.

ბურუნტაბიედან სადგურისაკენ წავედი. გზაზე თვალი მოვატანე დავითს. იგი ისე დაპატარავებულიყო, რომ თითქმის ვერ ვიცანი. ავტომობილი შევაჩერე და დავითს ვსთხოვე.. ძლივს ძლივობით ავტომობილში ჩავსვი. დავითი ოცი წლით უფრო მოხუცი მეჩვენა; ფერი

ისე დაჰკარგოდა, თითქოს 30 წლის განმავლობაში მალარია სჭირებ-
დეს. იგი ნერვებაშლილი და დაღვრემილი იყო. ძლივს ძლივობით ლა-
პარაკობდა: „სირცხვილი, სირცხვილი, განა მეტი საშინელება და დამ-
ცირება იქნება?“

სადგურზე მივედით. ჯარიკაცები, ოფიცრები, დარჩენილი მოქალა-
ქენი, მიდიან, მიდიან. უკანასკნელი მატარებელია. ვაგონები სავსეა
ხალხით. დროებით ჩადგა საშინელი ცეცხლის გრიგალი. ზარბაზნის
ყუმბარები აღარ გვაყრუებს. მხოლოდ კანტი-კუნტათ თოფის სროლა
გაისმის. საშინელი წუთებია. წამი წამზე ოსმალებს ველით. უკვე მათი
მოახლოების ფეხის ხმაც ისმის. ქალაქში შემოდიან. მოსალოდნელია
ქლეტა, ცეცხლი, წამება. ხალხი შეირყა, მატარებელი ატორტმანდა.

— ბ-ნო დავით, თქვენ უსათუოდ უნდა წახვიდეთ ამ მატარებლით.
ეს უკანასკნელი მატარებელია.

— არა, ეს შეუძლებელია.

— ბათომის ბედი გადაწყვეტილია, თქვენ მას ეხლა უკვე ვერ იხ-
სნით. თუ საჭირო იქნება აქ ჩვენ დავრჩებით. თქვენ კი იქიდან, და-
გეხმარეთ.

მისი სიტყვა მოჭრილია და ლაკონიური

— უნდა დავრჩე. თქვენ აქ შეიძლება მოგკლან კიდევაც. სჯობს-
იჩქაროთ.

— არ შემიძლია, დეე მომკლან ისა სჯობს.

თვალები ცრემლითა აქვს სავსე.

— ბ-ნო დავით, არ შეიძლება თქვენი დატოვება — მიაძახეს ნაცნობ-
მა ოფიცრებმა და ჯარის კაცებმა.

მაგრამ მისი პასუხი ბრინჯაოსავით მტკიცე იყო. მესამე ზარიც ჩა-
მოჰკრეს. მატარებელში ტევა არ არის. დავითს სურს სადგური დასტო-
ვოს და უკან დაბრუნდეს.

გათავდა. აღარაფერს აღარ დავერიდეთ. დავითს ხელი ვსტაცეთ და
ლია ვაგონში შევსვით. იმავე წუთში მატარებელი დაიძრა და დავითი
იქიდან აღარ გამოუშვეს.

მდუღარე ცრემლი აღრჩობდა მას, მაგრამ მაინც არ დავინდვეთ
იგი.

მატარებელმა აჩქარებით გასწია.

სისხლიანი მზე ზღვაში ჩაიხჩო. აღმოსავლეთს სიბნელე რუხი მდე-

ვივით მოეპარა. მთელი ქალაქი თითქოს გალიაში ჩაიკეტა მომივ
ქარიშხლის მოლოდინში, ცხოველებიც კი ვერ ბედავდა გარეთ გ
სვლას. ცოტა ხნის, შემდეგ ქალაქის ქუჩებში ასკერთა რაზმების ფ
ხმა გაისმა. გული გაიყინა. თავი აღარ გვენანებოდა.

სევდა, მწუხარება და სინიდისის ეშაფოტზე აყვანა.

ჰაიერი დამძიმდა. თითქოს მთელი ქალაქის სიმძიმესა ვგრძნ
დი. სულში ათასი ყორანი ჩაფრინდა და სასიკვდილო ჩხავილი დაიწ
ვრძნობანი ისე გაშავდა, ვით ღამე ჩრდილოეთის პოლიუსზე. ვუყურ
დი მხოლოდ ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დავითის ცრემლს.

ივ. უიფიანი.

დ. კლდიაშვილს

(ექსპრომტად).

ღარიბსა და გულით მდიდარს
ისეთი რა მომელოცნა,
რომ ძვირფასი ყოფილიყო,
როგორც მგოსნის წრფელი ლოცნა?!

და მეკ ლოცნით გეგებები,
როგორც შვილი მოხუც მამას;
საძრახისად ნუ ჩამითვლი,
გეხვეწები მხოლოდ ამას!..

გ. ქუჩიშვილი.

ფასი 10 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა
92